არქივი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 12–13 (25–26) სექტემბერი–ოქტომბერი 1949 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

99. საქართველოს სსრ ზოგიერთ სასამართლო უბანში სახალხო მოსამართლეების არჩევნების ჩატარებისას საარჩევნო პუნქტების შექმნის, საარჩევნო პუნქტებში რწმუნებულების დანიშვნის, დამთვლელი კომისიების შექმნისა და ამომრჩეველთა სიების შედგენის შესახებ.

100. საქართველოს სსრ ზოგიერთ სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლეების არჩევნების შესახებ.

101. კინორეჟისორი ი. ნ. პერესტიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

102. ქიათურის სახელმწიფო დრამატიული თეატრისათვის აკაკი წერეთლის სახელის მიკუთვნების შესახებ.

103. ამხ. მ. ყ. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

104. ამხ. ამხ. ნ. ი. ბოკუჩავას, გ. ი. პაქსაშვილისა და გ. დ. ცანავას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

105. ქალაქ თბილისის ბერიას სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის არჩევნების შესახებ.

106. საქართველოს სსრ ლანჩხუთის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის არჩევნების შესახებ.

107. მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, სტალინირის საქალაქო და ჯავის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

108. რკინიგზის კავკასიის ოლქის საოლქო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა შესახებ.

109. საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის სასოფლო საბჭოს სოფელ ალბულახის სახელის შეცვლის შესახებ.

110. საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის არჩევნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

99. საქართველოს სსრ ზოგიერთ სასამართლო უბანში სახალხო მოსამართლეების არჩევნების ჩატარებისას საარჩევნო პუნქტების შექმნის, საარჩევნო პუნქტებში რწმუნებულების დანიშვნის, დამთვლელი კომისიების შექმნისა და ამომრჩეველთა სიების შედგენის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაევალოს ქ. თბილისის სტალინის, მოლოტოვის, 26 კომისრისა და ორჯონიკიძის სახელობის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოებისა და ზემო სვანეთის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. სახალხო მოსამართლეების არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად შექმნან 1949 წლის 5 სექტემბრამდე საარჩევნო პუნქტები საარჩევნო ოლქებში.

საარჩევნო პუნქტების შექმნის დროს, როგორც წესი, გამოყენებულ იქნას სახალხო სასამართლოების არჩევნების დროის საარჩევნო პუნქტები.

2. მიმდინარე წლის 8 სექტემბრამდე დაამთავრონ შერჩევა და დანიშვნა რაიონული, საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების რწმუნებულებისა და აგრეთვე ხმების დამთვლელი კომისიების შემადგენლობისა ხმების დასათვლელად თვითეულ საარჩევნო პუნქტში 5—11 კაცის რაოდენობით და თვითეულ საარჩევნო ოლქში 5—7 კაცის რაოდენობით.

3. მიმდინარე წლის 10—12 სექტემბრამდე უზრუნველყონ სახალხო მოსამართლეების კანდიდატების წამოყენება.

4. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები შეუდგნენ და დაამთავრონ ა. წ. 8 სექტემბრამდე ამომრჩეველთა სიების შედგენა საარჩევნო პუნქტების მიხედვით იმ ვარაუდით, რომ ამომრჩეველთა სიები 10 სექტემბრამდე გამოიკრას ყველას გასაცნობად.

5. უზრუნველყონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების მიერ წამოყენებული სახალხო მოსამართლეების ყველა კანდიდატის რეგისტრაცია მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე და გამოაქვეყნონ მათი სია არა უგვიანეს ა/წ 20 სექტემბრისა.

6. უზრუნველყონ ყველა საარჩევნო პუნქტში საარჩევნო ბიულეტენების დაგზავნა ამა წლის 25 სექტემბრისათვის.

7. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს მტკიცედ იხელმძღვანელონ სახალხო მოსამართლეების არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 1 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100. საქართველოს სსრ ზოგიერთ სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლეების არჩევნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. სახალხო მოსამართლეების ვადამდე გასვლის გამო სახალხო მოსამართლეების ხელახალი არჩევნები ჩატარდეს ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პირველი და მესამე უბნებისა და ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლოების საარჩევნო ოლქებში.

2. დაინიშნოს სახალხო მოსამართლეების არჩევნები 1949 წლის 2 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 3 სექტემბერი.

101. კინორეჟისორი ი. ნ. პერესტიანისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება კინორეჟისორს ივანე ნიკოლოზის-ძე პერესტიანს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 7 სექტემბერი.

102. ჭიათურის სახელმწიფო დრამატიული თეატრისათვის აკაკი წერეთლის სახელის მიკუთვნების შესახებ.

მიეკუთვნოს ჭიათურის სახელმწიფო დრამატიულ თეატრს აკაკი წერეთლის სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 7 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

103. ამხ. მ. ყ. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

დაშვებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად ამხ. მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძე.

ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 13 სექტემბერი.

104. ამხ. ამხ. ნ. ი. ბოკუჩავას, გ. ი. პაქსაშვილისა და გ. დ. ცანავას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად დაშვების შესახებ.

დაშვებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად ამხ. ამხ. ნიკოლოზ იაკობის-ძე ბოკუჩავა, გიორგი იოსების-ძე პაქსაშვილი და გრიგოლ დიმიტრის-ძე ცანავა.

ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 3 ოქტომბერი.

105. ქალაქ თბილისის ბერიას სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის არჩევნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. ქალაქ თბილისის ბერიას სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო მოსამართლის ვადამდე გასვლის გამო, საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 65 მუხლის შესაბამისად, ჩატარდეს ქალაქ თბილისის ბერიას სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის ხელახალი არჩევნები 1949 წლის 13 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს ქალაქ თბილისის ბერიას სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩასატარებლად მტკიცედ იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებით და „უფლებამოსილების ვადამდე გასული სახალხო მოსამართლის მაგიერ სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების ვადების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ბოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 11 ოქტომბერი.

106. საქართველოს სსრ ლანჩხუთის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის არჩევნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ლანჩხუთის რაიონის პირველი უბნის სახალხო მოსამართლის ვადამდე გასვლის გამო, საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 65 მუხლის შესაბამისად, ჩატარდეს ლანჩხუთის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის ხელახალი არჩევნები 1949 წლის 13 ნოემბერს.

2. დაევალოს ლანჩხუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩასატარებლად მტკიცედ იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებით და „უფლებამოსილების ვადამდე გასული სახალხო მოსამართლის მაგიერ სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების ვადების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ბოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 14 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

107. მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, სტალინირის საქალაქო და ჯავის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

მოისმინა რა მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. კულუხოვის მოხსენება სამხრეთ-ოსეთის საოლქო, სტალინირის საქალაქო და ჯავის რაიონული საბჭოების აღმასკომებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობაზე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმე აღნიშნულ აღმასკომებში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების მიღებისა და განხილვისათვის აღმასკომებში არ არის შემოღებული გარკვეული წესი. შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ერთი ნაწილი რეგისტრაციაში არ ტარდება. ამის შედეგად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ რიგ შემთხვევებში განცხადებები და საჩივრები დაკარგულია. განცხადებებისა და საჩივრების განხილვა ხშირად ჭიანურდება. მთავრობის მიერ დაწესებული ვადები განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა არ სრულდება. მაგალითად, საოლქო აღმასკომში მოქ. კოჩიევას განცხადება, შეტანილი 1949 წ. 20 აპრილს, განიხილეს 2 ივნისს; საოლქო აღმასკომთან არსებულ სოფლის მეურნეობის სამმართველოში 1949 წ. 25 ივნისს მიღებული განცხადება მოქ. ალბოროვისა არ ყოფილა განხილული 21 სექტემბრამდე. ზოგიერთი განცხადება და საჩივარი სრულიად განუხილველი რჩება. მაგალითად, ჯავის რაიონული საბჭოს აღმასკომში მოქ. გაგიევის ოთხი განცხადება, სხვადასხვა დროს გადაცემული ზემდგომი ორგანოებიდან, სრულებით არ განუხილავთ.

აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები მშრომელთა განცხადებების მიმართ ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ. მაგალითად, ინჟინერ სტეფანოვის განცხადება, მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ, რომელიც სტალინირის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო სამხრეთ-ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის რეზოლუციით, 4 თვის განმავლობაში უშედეგოდ იმყოფებოდა კომუნალურ განყოფილებაში მიწათმომწყობი სანაკოევის ხელში.

მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა საოლქო აღმასკომის განყოფილებებში და ჯავის რაიონულ აღმასკომში.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებით უნდა აიხსნას აგრეთვე ისეთი ფაქტები, როდესაც საოლქო აღმასკომიდან განცხადებები და საჩივრები ეგზავნება განსახილველად არასათანადო ორგანოს. მაგალითად, სტალინირის რაიონის სოფ. აჩაბეთის მცხოვრების მოქ. რაზმაძის განცხადება, რომელშიც ის ითხოვდა მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, გაეგზავნა სტალინირის საქალაქო საბჭოს აღმასკომს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლად სტალინირის რაიონული საბჭოს აღმასკომისა. მრავალშვილიანი დედის მოქ. ოსიტაშვილის განცხადება ორდენით დაჯილდოების შესახებ გადაეცა საოლქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებას ნაცვლად მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების განყოფილებისა.

განცხადებისა და საჩივრის შემომტან მოქალაქეებს აღმასკომები ხშირ შემთხვევებში არ აცნობებენ განხილვის შედეგებს.

სამხრეთ-ოსეთის საოლქო აღმასკომი არ უწევს კონტროლს აღმასკომის განყოფილებებისა, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობას მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში, არ ამოწმებს საოლქო აღმასკომიდან ქვემდებარე ორგანოებისათვის გადაცემული განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შედეგებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ი. კულუხოვს უზრუნველყოს მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების დროზე განხილვა, როგორც საოლქო საბჭოს აღმასკომში, მის განყოფილებებსა და სამმართველოებში, ისე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოების აღმასკომებში.

ყველა განცხადება და საჩივარი, რომელიც ეხება საოლქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებებისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების არასწორ მოქმედებას, განიხილოს უშუალოდ საოლქო საბჭოს აღმასკომში.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის საოლქო, სტალინირის საქალაქო და ჯავის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) სისტემატური კონტროლი გაუწიონ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვას აღმასკომების განყოფილებებში, სასოფლო საბჭოებში და საწარმო-დაწესებულებებში, მოისმინონ აღმასკომის სხდომებზე აღმასკომის განყოფილებების გამგეების, სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ანგარიშები მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ;

ბ) გამოავლინონ და შეისწავლონ საჩივრების გამომწვევი მიზეზები და მიიღონ ზომები მათი აღმოფხვრისათვის;

გ) შემოიღონ პრაქტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განცხადებებისა და საჩივრების შემოწმება ადგილზე საოლქო, საქალაქო, რაიონული აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკების საშუალებით.

განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში ჩააბან საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატები და საბჭოს აქტივი.

დ) ის თანამდებობის პირები, რომელნიც უსულგულოდ მოეპყრობიან მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას, მისცენ პასუხისგებაში.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ი. კულუხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მოაწესრიგოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში შემოსული ყველა განცხადებისა და საჩივრის აღრიცხვა, განცხადებებისა და საჩივრების გამო მიღებული გადაწყვეტილებების შეტყობინება მოქალაქეებისათვის და გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი;

ბ) დააწესოს მოქალაქეთა ყოველდღიური მიღების საათები საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან და მის მოადგილესთან, აგრეთვე საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებთან, უზრუნველყოს მიღების საათების ზუსტად დაცვა ხელმძღვანელი მუშაკების მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წლის 18 ოქტომბერი.

108. რკინიგზის კავკასიის ოლქის საოლქო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაშვებულ იქნან რკინიგზის კავკასიის ოლქის საოლქო სასამართლოს სახალხო მსაჯულების მოვალეობის ასასრულებლად:

1. აბესაძე სალომე სევერიანის ასული,
2. ანაკიძე გიორგი ნესტორის-ძე,
3. ბასილაშვილი თამარ მიხეილის ასული,
4. ბანცაძე ვახტანგ ილიას-ძე,
5. ბარნოვი ვასილ მიხეილის-ძე,
6. გურაშვილი ილია სიმონის-ძე,
7. ვარდოსანიძე გიორგი დიმიტრის-ძე,
8. ვაშალომიძე სამსონ იოსების-ძე,
9. ვასილენკო გიორგი პანტელეის-ძე,
10. თევზაძე ნეოფიტე კარპეზის-ძე,
11. კოპალეიშვილი მიხეილ ანდრიას-ძე,
12. კოხრეიძე ნინო ივანეს ასული,
13. ლოჩაშვილი შალვა ალექსის-ძე,
14. მხითარიანი მიხეილ მიხეილის-ძე,
15. მგელაძე კარლო ავქსენტის-ძე,
16. მენაბდე ქსენია მოსეს ასული,
17. მაჭავარიანი სიმონ ალექსანდრეს-ძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. მარგალიტაძე კარლო იორდანეს-ძე,
19. ოლეინიკოვი ნიკოლოზ სერგის-ძე,
20. პატარქალაშვილი გიორგი ესტატეს-ძე,
21. რუბინი ალექსანდრე იოსების-ძე,
22. ფირცხალავა კონსტანტინე მირონის-ძე,
23. შარტავა შოთა ელიზბარის-ძე,
24. შხვაცაბაია ანტონინა ნიკოლოზის ასული,
25. ცომაია გუგული შალვას ასული,
26. ხურცილავა თომა სამსონის-ძე.

2. ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 18 ოქტომბერი.

109 საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის სასოფლო საბჭოს სოფელ აღბულახის სახელის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის სასოფლო საბჭოს სოფელ აღბულახს ეწოდოს სოფელი წყაროსთავი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

ქ. თბილისი.
1949 წ. 26 ოქტომბერი.

110 საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის არჩევნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დუშეთის რაიონის პირველი უბნის სახალხო მოსამართლის ვადამდე გასვლის გამო, საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 65 მუხლის შესაბამისად, ჩატარდეს დუშეთის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის ხელახალი არჩევნები 1949 წლის 27 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ალმასრულებელ კომიტეტს სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩასატარებლად მტკიცედ იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებით და „უფლებამოსილების ვადამდე გასული სახალხო მოსამართლის მაგიერ სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების ვადების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ნოგუა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატიშვილი.**

ქ. თბილისი.
1949 წ. 28 ოქტომბერი.

სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ., მთავრობის სახლი.

Ведомости Верховного Совета
Грузинской Советской Социалистической Республики
№ 12—13 (25—26) сентябрь—октябрь 1949 г.
(на грузинском языке)

ИЗДАНИЕ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГССР

ფასი 1 მ. და 50 კაპ.

სტამბის შეკვ. № 343 ტირაჟი 2100 უე 01878

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат „Комунисти“ им. Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 14.